

4  
2-382

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის  
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო მატარაძე

მხატვრული დეტალი როგორც ენობრივ-კულტურული  
ფენომენი

და ქვეთექსტური სემანტიკა  
მეოცეუ საუკუნოვან მხატვრულ ციკლში

(ერნესტ ჰემინგუეის „მცირე პროზის“ მასალაზე)

10.02.10 – ენა და კულტურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაციის


ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2005

ნაშრომი შესრულებულია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და კულტუროლოგიის და რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის კათედრებზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ლებანიძე  
ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ნინო კირვალიძე  
ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი (10.02.04)



2. ციცინო ხვედელიძე  
ფილოლოგიის  
მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 10 ნოემბერს საათზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P10.01.№1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში.  
მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №45.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №45.

ავტორეფერატი დაიგზავნა 10 ნოემბერს, 2005 წელს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი  
ლ. გვასალია

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ისეთ ფენომენტთა ურთიერთმიმართების კვლევას, რომლებიც ერთდროულად ეკუთვნიან ენობრივ, ტექსტობრივ და კულტურულ სინამდვილეს. ეს ფენომენებია მხატვრული დეტალი, ქვეტექსტი და ციკლიზაცია (იგულისხმება შინაარსობრივი ერთიანობით შეკავშირებულ ვერბალურ ტექსტთა გენეზისი და ფუნქციონირება).

ნაშრომის მიზანია როგორც ცალკეულ ფენომენტთა, ისე მათ შორის არსებული შინაგანი კავშირის ლინგვოსემიოტიკური ასპექტის კვლევა.

კვლევის აქტუალურობა განპირობებულია ერთი მხრივ საკვლევ ფენომენტთან დაკავშირებული პრობლემატიკის მნიშვნელობით, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ლინგვოსემიოტიკურ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტუროლოგიურ ლიტერატურაში მათ შესახებ არსებული კვლევების დონით. ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული ფენომენები თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში არ განიხილება ნიშნობრიობის თვალსაზრისით, რასაც მოითხოვს თავად მათი არსი და ბუნება.

კვლევის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს შემდეგი: ა) თანამედროვე ლინგვისტიკაზე დაყრდნობით კვლევის ახლებურ ეტაპზე აგვეყავს ტექსტობრიობის ფენომენტთან დაკავშირებული ისეთი პრობლემური კონცეპტები, როგორცაა მხატვრული დეტალი, ვერბალური სიმბოლო და ქვეტექსტი; ბ) ვახდენთ სხენებული პრობლემატიკის ფუნქციურ და სტრუქტურულ გადაზარებას როგორც ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმაზე, ისე კულტუროცენტრიზმის პრინციპებზე დაყრდნობით და, გ) სხენებულ პრობლემატიკას განვიხილავთ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათვის პარადიგმული მნიშვნელობის მქონე ინტერდისციპლინარიზმის პერსპექტივაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა კი მდგომარეობს იმაში, რომ როგორც კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, ისე მიღწეული შედეგები შეიძ-

1-2007